პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



1923
აგვისტო
17
პარასკევი
შესაწ. მოვლენათა დღიური
მზე ამ. 4 ს. 29 წ.
მზე ჩ. 7 ს. 06 წ.
ცალკე კავკ. არმიის არსებ. 5 წლის თავი.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელისმოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 342 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 342

გერმანიის ამბების გარშემო.

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანიაში მდგომარეობა მეტის მეტად გამწვავდა, რამაც გამოიწვია კუნოს მთავრობის გადადგომა. ბევრი იყოყმანეს სოციალ-შემთანხმებლებმა, რათა ხელოვნურად შეეჩერებინათ კუნოს კაბინეთის კრიზისი, მაგრამ გერმანიის ეკონომიკის კატასტროფიულ მდგომარეობამ მაინც თავისი გაიტანა და უძლური უინიციატივო, ორსკამზე ჯდომას მიჩვეული კუნოს კაბინეთი დაეცა. კაბინეთის გადადგომას მოუძღოდა მარკის კურსის არაჩვეულებრივი დაცემა და ფართო მუშათა გაფიცვები, რამაც გამოიწვია გერმანიის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში თითქმის მრეწველობის გაჩერება. ამასთანავე ერთად გახშირდა შეტაკებები მუშებსა და პოლიციის შორის. გერმანიის მუშები დღითი დღე რწმუნდებიან სოციალ-დემოკრატიის უძლურებაში და იმედის თვალით შესცქერიან კომპარტიას, რომელიც გადაჭრით მოითხოვს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებას. მეორე მხრივ თავს წამოყო და ავი დღეებით ემუქრება მთელი გერმანიის მშრომელ ხალხს ფაშიზმი, რომლის მიზანს შეადგენს ყოველდღიური პარლამენტური ლაყბობის მოსპობა, მუშათა ორგანიზაციების განადგურება და კაიზერის გამეფება.

თვით პრეზიდენტ ებერტმა კი მოიწვია კანცლერად სტინესის ერთგული მოციქული შტრეზემანი, რომელიც მომხრეა დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებისა საფრანგეთთან.

თავის თავად ცხადია, რომ შტრეზემანის პოლიტიკური კომბინაციები ვერას გახდებიან არსებულ არევ-დარევასთან, რადგან პოლიტიკურ გართულებასთან ერთად ხდება ღრმა სოციალური გარდატეხა. კრიზისი იმდენად გაიზარდა და გაღრმავდა, რომ მასები დაიძრნენ გაყინულ „დემოკრატიულ“ წერტილიდან და მიისწრაფიან აქტიურ მოქმედებებისაკენ. თან და თან ყალიბდება ორი მოპირდაპირე ძალები ერთის მხრივ რევოლუციონური პროლეტარიატი თავს იყრის კომპარტიის დროშის ქვეშ, მეორე მხრივ რეაქციის ყველა ნაძირალები რაზმდებიან ფაშისტურ ორგანიზაციებში და აპირებენ იერიშს. თვით სოციალ-დემოკრატებმა კი დაკარგეს ყოველგვარი გავლენა და წარმოადგენენ უჯარო სარდლებს.

აქედან ცხადია გერმანიის ხსნა მხოლოდ კომპარტიის გამარჯვებაშია. უკანასკნელი კი სრულ სინამდვილედ ხდება, რადგან კომუნისტების ზეგავლენა დღითი დღე იზრდება ფართო მუშათა მასებში და ლოზუნგი—მუშურ-გლეხური ხელის უფლების დამყარება—უკვე გახდა გერმანიის პროლეტარიატის მორიგ ამოცანად.

პრესა

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 186 ნომერში მოთავსებულია მეტად საყურადღებო წერილი, რომელიც ეხება საერთოდ შეფობას და კულტურულ კავშირს მაზრებთან და განაპირა სოფლებთან. მრავალი წერილი დაიწერა ამ საკითხის გარშემო—თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს შეფობა პერიფერიებზე და რა სახით უნდა გატარდეს ეს მუშაობა სოფლებსა და მაზრებში. შედეგები? ვკითხავთ ჩვენ. ამაზე გაზეთი უპასუხებს:

„შედეგი ის არის, რომ სოფლები მაინც ცუდ მდგომარეობაშია და სათანადო დახმარებას ვერ ღირსა ჩვენგან“—და შემდეგ მოჰყავს განმარტება, თუ რა გზით უნდა მიდიოდეს დახმარება

„აქ შეიძლება დახმარება იყოს ორ გვარი: ცენტრისა და მაზრის მიერ... მაგრამ მაზრებს არ შეუძლია დამოუკიდებლად დააკმაყოფილოს თავიანთი სოფლების მოთხოვნილებები, არ შეუძლია დაჰფაროს ყოველგვარი საჭირო ხარჯები. აქ უსათუოდ საჭიროა დახმარება ცენტრიდან, სხვაფერ ისინი იძულებული იქნებიან იხარშონ თავიანთ წვენში. რას აკეთებს ცენტრი სადაო მიწის საკითხებში, გზების გაყვანაში, კულტურულ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში და სხვა და სხვა? ამ მხრით, უნდა გამოვტყდეთ, რომ საქმე ცუდად სდგას“;

შემდეგ ეხება რა ცენტრის მომუშავეთა უმოქმედობას, აწერს ადგილების მომუშავეთა მდგომარეობას:

„ადგილობრივი მომუშავენი წელებზე ფეხს იდგამენ, სახსარი არ აქვთ, ხოლო ცენტრი კი არ ეხმარება მათ, დროგამოშვებითაც კი არ ამხნევებს მათ, თუნდაც კავშირის დაჭერით—ტელეგრაფის, ფოსტის ან შიკრიკის საშვალებით. სწორედ რომ სირცხვილია: ჩვენ ვიცით მაზრები, რომელთაც არც კი იციან რა არის ტელეფონი, რა არის პირდაპირი მავთულის კავშირი. გზებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. მაგალითად, დანგრეულია და აღარ მოქმედობს ისეთი მნიშვნელოვანი შარა-გზა, როგორიც არის ახალციხე-ახალ ქალაქის, შეუძლებელია იმგზავრო ზუგდიდიდან სოხუმში, ან და ტფილისიდან ჯალალ ოღლში და სხვა, რის გამოც კავშირი ცენტრთან მეტად ძნელდება და ტფილისის, ერევნის, ბაქოს და სხვა ქ—ს გაზეთები მიდის დანიშნულებისამებრ 20 დღის დაგვიანებით“.

ქვევით გაზეთი შლის სოფლის უმწეო სურათს და ამბობს:

„თუ ჩაუკვირდებით სოფლებს, საშინელ სურათს დაინახავთ: პატრიარქულობა, ტალახი, სრული უყურადღებობა, ძონძები, დავა, გაუგებრობა, ერთი სიტყვით-ნამდვილი დათვების საცხოვრებელი კუთხე,—მრავალია ჩვენში ასეთი სოფლები. და ეს საბჭოთა ხელის უფლების დროს. რასაკვირველია, ჩვენ საზოგადოდ ღარიბნი ვართ, მაგრამ არ შეიძლება ვიხმაროთ ეს სიღარიბე ყოველთვის მიზეზად. ჩვენ ხომ მივდივართ წინ, ვვითარდებით, ვმაგრდებით“!

ბოლოს ეხება რა გაზეთი პასუხის მგებელ მომუშავეთა მაზრებზე მიმაგრებას, როგორც საუკეთესო მეთოდს კავშირის საქმეში, ათავებს წერილს შემდეგის სიტყვებით:

„ნაკლები სიტყვები და ცირკულიარები ქალაქის სოფელზე შეფობის შესახებ, და მეტი ცოცხალი, ორგანიული და მჭიდრო კავშირი ადგილებთან. ნაკლები ბიუროკრატიული მოუხეშაობა და კაბინეტური გეგმები, და მეტი მოგზაურობა სოფლებში, მეტი ყურადღება გლეხებს. ცენტრებო, ყურადღება თავიანთ პერიფერიებს! ადგილებო, ხმა მაღლა იყვირეთ თავიანთ საჭიროებაზე, დაჟინებით მოითხოვეთ ცენტრებიდან“!

ტელეგრამები

—მუსავატების ცეკამ და პარტიის წევრებმა აზერბაიჯანში მუსავატისტური პარტია გამოაცხადეს დაშლილად.

— გერმანიის კანცლერი კუნო გადადგა, მისი ადგილი დაიჭრა შტრეზემანმა, რომელმაც უკვე შეადგინა ახალი კაბინეტი.

— ინგლისი რურის ოკუპაციას უკანონოდ სთვლის.

— ინგლისის მემორანდუმმა მოკავშირეებისადმი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარიზის გაზეთებში.

— გერმანიაში მღელვარება გრძელდება.

— რუსეთის და რუმინიის დელეგაციების შორის მოლაპარაკება დაიწყო.

— ბულგარეთის ფაშისტები ემზადებიან კომუნისტებთან საბრძოლველად.

გერმანიის ამბები.

შტრეზემანის კაბინეთი.

გამოქვეყნებულია შტრეზემანის კაბინეტის შემადგენლობა: გირფერლინგი—ფინანსთა მინისტრი, რობერტ შმიდტ—აღდგენის მინისტრი და აგრეთვე ვიცე—კანცლერი, სოციალ-დემოკრატი; ზოლმან—შინაგან საქმეთა მინისტრი; რატრუხ—იუსტიციის; გესლერ—დაცვის; აზერ—გზათ; ლიუტერ—სურსათის,—ცენტრის პარტიის წევრი; ფოსტის მინისტრის ადგილი ჯერ რჩება დაუკავებელი.

პრუსიის მთავრობების და საერთო გერმანიის მთავრობის შორის კონტაქტის შექმნის მიზნით პრუსიის პრემიერი ს.-დ. ბრაუნი შევა შტრემანის კაბინეტის შემადგენლობაში უპორტფელო მინისტრის სახით, შტრეზემანი კი იქნება პრუსიის კაბინეტში წარმომადგენელი სრულიად — გერმანიის მთავრობისა.

კუნოს მთავრობის უკანასკნელი აქტი.

კუნოს მთავრობის უკანასკნელი აქტი იყო დადგენილება, ყველა სახელმწიფოებისათვის, იმ სახელმწიფოებისათვისაც კი რომელნიც არ ღებულობენ მონაწილეობას რურის ოკუპაციაში, დროებით შეწყვეტა ნატურით გადასახადების ძლევისა. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გერმანია მზად არის შეასრულოს ყველა ვალდებულებანი უკანასკნელ შესაძლებლობამდე, მხოლოდ ამას ხელი შეუშალეს დოლარის კურსმა და მან, რომ მთელი ყურადღება მიქცეულია სიმშილობასთან ბრძოლისაკენ. „ფორვერტსი“ შტრეზემანის მთავრობას ხსნის ყოველიკე „პასუხისმგებლობას“ ამ დადგენილების გამო.

შტრეზემანის საპროგრამო სიტყვა.

საპროგრამო სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა რეიხსტაგში, **შტრეზემანმა ხაზი გაუსვა რომ აუცილებელია რურში პასიური წინააღმდეგობის გაგრძელება**, რასაც დაცინვით შეხვდენ გერმანიის ნაციონალისტები და აგრეთვე კომუნისტები, რომლებიც შტრეზემანის კაბინეტს უწოდეს „კაპიტულიაციის მთავრობა.“ შტრეზემანმა სთქვა, რომ მისი კაბინეტი იქნება წინააღმდეგობის ყველაზე უფრო ძლიერი კაბინეტი და განაცხადა, რომ პირველ რიგში აუცილებელია მიღწეულ იქნეს მოქმედების თავისუფლე რურში. გერმანია, თუ კი მოახ ხებს სულის მოთქმას, შესძლებს მონახოს საშვალება საკითხის სა პარაციო საკითხების მოსაწესრიგ ლად, რამდენადაც მას მის შვალებას თვით მოაწყოს სახე ფოებრივი და ეკონომიური რება. ინგლისის უკანასკნელი ტის შესახებ საფრანგეთისადმი შტრეზემანმა სთქვა, რომ აუცილებელია თავს შეკავება, სანამ ნოტის ნამდვილი ტექსტი არ არის ცნობილი. შტრეზემანს არაფერი არ უთქვამს ერთა ლიგაში შესვლის შეს ხებ, თუმცა ეს პუნქტი არის ერ უმთავრესი პუნქტი სოციალ-დემ კრატების საგარეო პოლიტიკა როცა შტრეზემანი შეეხო საშინ პოლიტიკას მან სასტიკად გაჰკიც გერმანიის კონსტიტუციის წინა მდეგ მტრულად განწყობილი ელ მენტები მაგრამ არ აღნიშნა კი ვინ არიან გერმანიის მტრები.

გერმანელი კაპიტალისტები გარბიან.

ვარშავაში ჩამოვიდა მრავა კაპიტალისტი, რომლებმაც გა ცხადეს, რომ მათ დასტოვეს გე მანია მოსალოდნელი ამბების შიშით.

ბერლინში გაზეთები არ გამოდის

სტამბების მუშების გაფიცვის გამო, ბურჟუაზიული გაზეთების უმრავლესობა არ გამოსულა, დიდი მღელვარებაა იმის გამო, რომ რეიხსბანკის სალაროებმა შესწყვიტეს ფულის ნიშნების მიცემა. რეიხსბანკი კიცებს, რომ ფულის ნიშნების ცირე გამოიწვია მბეჭდავებ ცვამ- როგორც ჩანს, ამით ცდილობენ აამხედრონ მცხოვრებლები გაფიცულ მბეჭდავების წინააღმდეგ.

კავშირების წარმომადგენ კონფერენცია.

მუშების მღელვარებამ ბერლინის პროფკავშირები მოიწვიოს რეიხსტაგში კავშირ წარმომადგენელთა კონფერ პოლიტიკურ პარტიების დელე თან ერთად. სოციალ-დემოკრატ უარი სთქვეს მოლაპარაკების წარმოებაზე კომუნისტებთან ერთად; ამიტომ მოეწყო ცალკე თათბირები.

გაფიცვები ყველა წარმოებებს მოედო.

ქალაქის რკინის გზებზე მოძრაობა შეწყდა. გაზის ქარხანა გაფიცულ ალობამ, დღეს შეწყდება მუშაო ელექტრონის განათების სადგურზე. ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიან 15 კაცისაგან შემდგარი კომისიის წევრები, 10 კომუნისტი და დამოუკიდებელი ნება დართო ამ გამოაცხადონ გაფიცვა საავადმყოფოებსა, წყალსადენსა და სასურსა-

პროდუქტების დამამზადებელ ოებებში იმ პირობით, თუ სურსათის განაწილება მოხდება მომხმარებელ საზოგადოებათა ხელმძღვანელობის ქვეშ.

მღელვარება ძლიერდება.

მთელ გერმანიაში მღელვარება ძლიერდება ხელფასის სიმცირის და სიძვირის ნიადაგზე გელზენკირხენში მოხდა შეტაკება პოლიციასთან; მოკლულია 4, დაჭრილთა რიცხვი დიდია. იგივე მოხდა კრეფელდში, სადაც მოკლულია 1 და დაჭრილია 20 კაცი. ვალდენბურგის სამრეწველო რაიონში (სილეზია) მოკლულია 13, რატიბორში 4; ასეთივე ცნობები მოდის საქსონიიდან, ტიურინგიიდან, ჰანოვერიდან, შტეტინიდან და ჰამბურგიდან, სადაც მუშებს ლოკაუტი გამოუცხადეს.

[illegible] თავის ნებით ახდენენ სურსათის რეკვიზიციას.

ბერლინი. 12 აგვისტო. სურსათის სიმცირის გამო, აახენსა, ვალდენბურგსა და სხვა ადგილებში ადგილებში ქალაქის მცხოვრებნი გადიან ქალაქ-გარედ და ძალით ართმევენ გლეხებს სურსათს და რქიან საქონელს.

ყოველგან იტალიური გაფიცვებია

ფრანკფურტიდან, მაგდებურგიდან, ხემნიციდან, ტიურინგიიდან და რურიდგან მიღებული ცნობების მიხედვით, ქარხნებში ხშირდება იტალიური გაფიცვების შემთხვევები.

პოლიცია „მუშაობს“.

ქუჩებში პოლიციის რაზმები გაძლიერებული არიან. ქუჩები, რომლებიც მიდიან რეიხსტაგისაკენ, სადაც დღეს დღესასწაულობდენ რესპუბლიკის დაარსების წლის თავს, დილიდანვე გარშემორტყმული იყო პოლიციის მიერ.

ცდილობენ მუშების დამშვიდებას.

ვოლფის სააგენტო მცხოვრებლების დასამშვიდებლად იტყობინება, რომ მიღებულია სურსათის დიდი რაოდენობა. „ფორვერტსი“ (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) მოუწოდებს მუშებს რესპუბლიკის დაცვისაკენ კომუნისტების გამოსვლების წინააღმდეგ. ფულის [illegible] სიმცირის გამო, ბანკებს განზრახვა აქვთ გამოუშვან სპეციალური ბონები მუშების ჯამაგირის დასარიგებლად.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი.

[illegible] პრესა, იცნობს რა, რომ [illegible] თავისი მოქმედებით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხში არღვევს ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებას, აცხადებს, რომ რუსეთის საკუთრების უფლებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ეთანხმება პორტსმუტის ხელშეკრულებას, რომლითაც იაპონიამ მიიღო სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზა.

ს. რ. კ. და სამხრეთ სლავია.

ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ სლავიის მთავრობას განზრახული აქვს დაუშვას რუსეთის [illegible] და სავაჭრო წარმომადგენლობების დაარსება სამხრეთ სლავიაში ჯერ კიდევ სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე საბჭოთა რუსეთთან.

რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკების დაწყება.

დღეს ტირასპოლში გაიხსნება რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება ტრანსპორტის საკითხის შესახებ.

რუსეთ ლატვიის ტრანზიტი.

ხვალ შესდგება მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნება სპეციალურად რუსეთ-ლატვიის ტრანზიტის საკითხები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

აზერბეიჯანი.

მუსავატების დეკლარაცია.

ბაქოს გაზეთებში გამოქვეყნებულია მუსავატისტების დეკლარაცია რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი მუსავატის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და ამავე პარტიის წევრები ვიმყოფებით რა უდიდესი ისტორიული ეპოქის საზღვრებზე, სრული შეგნებით იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც ვალად გვდევს თურქთა მოწინავე ინტელიგენციას, რომელიც იყო ყოველთვის მომხრე აღმოსავლეთის ხალხთა ანტანტის უღელისაგან განთავისუფლებისა, რომელიც ფეხქვეშ სთელავდა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობებს და კერძოდ ავიწროებდა თურქებს რომელთაც სურდათ დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა ყოველივე ექსპლოატაციის გარეშე, საჭიროდ ვსთვლით განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ ვაღიარებთ, რომ 12 ე ყრილობისა და ამიერ კავკასიის ცაკის დადგენილებები ეროვნულ საკითხის შესახებ იძლევიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში ეროვნებათა თანასწორობის უფრო მეტ რეალურ ფორმებს; მეორეს მხრით აღმოსავლეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობა ღებულობს უფრო ცოცხალ ბაზას. ვღებულობთ რა მხედველობაში ყველა ამას და აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც არის დამცველი მშრომელი ხალხისა, ჩაიყოლია რა ფართე მასსები პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოაწესრიგა კავკასიის ერთა შორის მტკიცე კეთილ-მეზობლური განწყობილება. ვღებთ რა მხედველობაში, რომ დაუბოლოვებელის იმპერიალისტურის და შემდეგ სამოქალაქო ომების მიერ აზერბეიჯანს ეჭირვება დასვენება, რომ მომაგრდეს ფიზიკურად, ჩვენ ქვემორე ამისა ხელისმომწერნი ვკიცხავთ ყველა მას ვინც მოინდომებს გახსნას ფრონტი საბჭოთა მთავრობასთან საბრძოლველად.

ჩვენ ამასთან ერთად ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ ვითანამშრომლოთ საბჭოთა მთავრობასთან მთელის ძალ-ღონით. ქვევით ნათქვამია, რომ მუსავატისტების პარტიას აცხადებენ დაშლილად. დეკლარაციას ხელს აწერენ მუსავატისტების პარტიის ცნობილი ხელმძღვანელები.

რუმინეთში

რუმინელი ფაშისტები გაცხოველებით მუშაობენ.

რუმინელი ფაშისტები გაცხოველებით ანვითარებენ თავის მუშაობას მუშათა და გლეხთა შორის — აარსებენ თავიანთ პროფკავშირებს ქარხნებისა და სხვა საწარმოო რაიონებში. ფაშისტების ცდა-ტრანსილვანიის ნახშირის ბასეინის კაპიტალისტებისათვის დახმარებისა 10 საათიან სამუშაო დღის დაწესებისათვის — დამარცხებით გათავდა. კომუნისტური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს ფაშისტურ მოძრაობის საშიშროებას და მოუწოდებს ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებს ფაშიზმთან ბრძოლისათვის გაერთიანებისაკენ და ამ მიზნით რაზმავს უორგანიზაციო მუშებს.

რუმინიაში საშუალო საუკუნოების რეჟიმი მეფობს.

ოპოზიციონური პრესა ამტკიცებს რომ რუმინიაში გამეფდა საშუალო საუკუნოების რეჟიმი სასოფლო მუშების მიმართ, რომლებსაც მრავალ მამულში ცემით და უკანონო დატუსაღებით სჯიან.

არეულობა მუშებს შორის.

რუმინიის მთავრობის მიერ აგრარული რეფორმის ცალმხრივი გატარება და ტერორისტული რეჟიმი აძლიერებს მღელვარებას გლეხებს შორის, რაც თავს იჩენს ამბოხების სახით მრავალ ოლქებში. ჰუნგრეთის გლეხობაც სემიგრადიაში აგრეთვე მეტად აღშფოთებულია, რადგან მთავრობამ ჩამოართვა გლეხებს 70000 აკრი [illegible] მიწა.

ახლო აღმოსავლეთში.

„ხაკიმიეტ-მილიეს“ პასუხი ლოიდ ჯორჯს.

ლოიდ ჯორჯის უკანასკნელ წერილების გამო, რომელიც მიმართულია ოსმალეთის წინააღმდეგ, „ხაკიმიეტ-მილიე“ სწერს: ლოიდ ჯორჯის თვალსაზრისის მომხრენი მთელ ინგლისში მოიპოვებიან. ეს აიხსნება ოსმალეთის ძალების ზრდით. „ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არა გვყავს მეგობრები, ამიტომ ერთნაირად ძლიერნი ვიქნებით შიგნიდან და გარედან.

ოსმალეთის ოფიციოზი ამერიკა-ოსმალეთის ხელშეკრულების შესახებ.

უკეთებს რა კომენტარიებს ამერიკა—ოსმალეთის ხელშეკრულებას „ხაკიმიეტ მილიე“ სავსებით შესაფერისად სთვლის მას ოსმალეთის პრინციპებისადმი, გაზეთის აზრით, ეს ხელშეკრულება იმედს გაუცრუებს ოსმალეთის სომხებს, რომელნიც დახმარებას ელიან ამერიკისაგან.

განაჩენი ოსმალეთის კომუნისტების საქმის გამო.

დასრულდა ოსმალეთის სახალხო კომუნისტური პარტიის წევრთა სამართლება. ხუთს მიესაჯა 3 თვე ციხე, 2-ს 3 ნახევარი თვით დაპატიმრება. დაპატიმრების ვადის გასვლის შემდეგ გასამართლებულები პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან.

ინგლისის ნოტის გარშემო

საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა.

საფრანგეთის პრესა ძლიერ უკმაყოფილოა ინგლისის უკანასკნელი ნოტით. წინადადებაში, რომ სარეპარაციო საკითხი გადაეცეს ექსპერტების საერთაშორისო კომისიას გაზეთი „ტანი“, ხედავს ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგობას და აცხადებს, რომ ინგლისის ანგარიშები იხრება იქითკენ, რომ უნდა საფრანგეთის გაძარცვა.

ჟურნალი „დებები“ ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობის წინადადებას მიზნად აქვს გაანთავისუფლოს გერმანია გადასახადისა საგრძნობი ნაწილისაგან.

ინგლისის პრესა კმაყოფილია.

ბურჟუაზიულმა პრესამ ნოტა დიდათ მოიწონა, „ვესმინსტერ გაზეტ“ ესალმება ნოტას თავისი გულახდილობისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთი დააფასებს ინგლისის კეთილ გონიერ პოზიციას.

უნგრეთი.

მთავრობა ქრთამებს იღებს.

ვენა. 11 აგვისტო. ნაციონალურ კრებაში ჰუნგრეთის ფაშისტების ბელადი ფრიდრიხი გამოვიდა „გამომჟღავნებით“, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ შინ. საქ. მინისტრი მთავარი პროკურორი, პოლიციის უფროსი და აგრეთვე ,,პრემიერ ბეტლენის მეუღლე უფასოთ იღებდენ მსხვილ ბანკების აქციებს. ბეტლენმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერ გასცეს ამაზე პირდაპირი პასუხი, რითაც ოპოზიციის დიდი აღშფოთება გამოიწვიეს.

წითელი ჯარის კავშირი გლეხობასთან.

ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ და რამდენად ზრუნავდნენ ყოფილი მთავრობები ჯარსა და მცხოვრებთა შორის კავშირზე. ისინი სცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი უფსკრული და გაუგებრობა ჩამოეგდო ჯარსა და მშრომელ მასსის შორის, რომ მით თავიანთი ბნელი საქმენი უფრო ადვილად და თავისუფლად ეკეთებინათ.

დღეს კი სულ სხვაა.

ჩვენ კარგად ვიცით — ვისგან შესდგება დღევანდელი წითელი ჯარი. ის კლასობრივია — მუშურ-გლეხურია, ის პროლეტარიატის განუყრელი, ფიზიოლოგიური ნაწილია, ის მისი სისხლი და ხორცია.

წითელი ჯარიდან სამუდამოდ განდევნილია ძველი ფეოდალ-სპეკულიანტები.

მაშასადამე, თქმა არ უნდა წითელ ჯარსა და მუშურ გლეხურ მასსის შორის უნდა სუფევდეს მუდმივი განუწყვეტელი კავშირი, უნდა სუფევდეს ურთი ერთ საჭირბოროტო საკითხების გარკვევა და შეგნება.

კიდევ არიან დარჩენილნი გლეხები და სოფლები, რომელთაც ჯერ სავსებით და ნათლად ვერ წარმოუდგენიათ, თუ რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალ ჯარს შორის, რომ საქმით ნათლად დავუმტკიცოთ ჩვენი წითელი ჯარის დანიშნულება, საჭიროა ჩვენი ჯარის ნაწილები დაუახლოვდნენ სოფლის მასსას, ეს განსაკუთრებით ახლა უფრო ადვილად მოსახერხებელია, როდესაც ჩვენი ნაწილები აგარაკზე იმყოფებიან გლეხობასთან უფრო დაახლოებით.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ცირკულიარებს და ბრძანებების საშუალებით, თუ რანაირად უნდა მიუდგეს ჩვენი ჯარის ნაწილები ამ საკითხის მოგვარებას, მაგრამ ცხადია, რომ კიდევ სავსებით არ არის ეს საკითხი სათანადოდ მოწესრიგებული.

სოფლის მასსასთან დასაკავშირებლად შეიძლება გამოდგეს სხვა და სხვა საშუალებანი მაგალითად შეფობა, როგორც ეს ზოგიერთ ნაწილებშია გატარებული; თქმა არ უნდა ჩვენი ნაწილები საგრძნობ მატერიალურ დახმარებას ვერ გაუწევენ ვერც სოფლის კომუჯრედს და ვერც სოფლის ღარიბ გლეხობას, თუმცა ზოგიერთ რუსის ნაწილებს ამ მხრივ გადაუდგამთ მეტად საყურადღებო ნაბიჯი, მაგალითად ქუთაისში მდგომ ლეგიონს გადაუდვია მეოთხედი გირვანქა მახორკა და ორი გირვანქა პური თითო წითელი არმიელიდან ქართული ლიტერატურის შესაძენად და სოფლისათვის ძღვნად გასაგზავნათ, ასეთივე ნაბიჯი გადაუდგამს დუშეთში მდგომ ლეგიონსაც, ცხადია, რომ ეს ას არ არის დიდი საგრძნობი დახმარება, მაგრამ მას აქვს უდიდესად დიდი მორალური მნიშვნელობა. ჩვენ ნაწილებს შეუძლიათ მსგავსი საშუალების გარდა მიაწოდონ კომუჯრედს და გლეხობას საჭირო განმარტებანი იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გლეხობას აინტერესებს, მთავრობის სხვა და სხვა განკარგულებანი, დეკრეტები და ბრძანებები.

ჩვენმა ჯარის ნაწილებმა სასურველია მოაწყონ ლექციები ისეთ თემებზე, რომლებიც გლეხობისათვის საყურადღებო და საჭიროა, მაგალითად [illegible] სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ქვეყნის წარმოშობა და მის განვითარებაზე, ბუნების მეტყველებიდან სხვადასხვა საყურადღებო და საინტერესო საკითხები, ძველი ჯარი და მისი დანიშნულება, წითელი ჯარი და მისი მიზანი და სხვა ასეთები. თუ ყველა ეს და მსგავსი თემები მდაბიურად და გასაგებ ენაზე იქნება ახსნილ — განმარტებული, მაშინ ეს იქნება საუკეთესო საშუალება გლეხური მასსის წითელ ჯართან დაახლოების. ასეთი ლექციების მოწყობა უნდა მიენდოს მცოდნე სამხკომებსა და პოლიტ-ხელებს.

ჯარის ნაწილებში უნდა მოეწყოს მოგონებათა საღამოები, რომლებზედაც უნდა მოწვეულ იქმნას მახლობელ სოფლის გლეხობა.

შეიძლება აგრეთვე სოფლის გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმა სხვადასხვა სპორტში. მეტად სასურველია ჩვენმა წითელ ჯარის ნაწილებმა დაეხმარონ, განსაკუთრებით კვირაობით, ქვრივ-ობლებს მინდვრის სხვადასხვა სამუშაოში.

აი, ასეთი საშუალებებით შეიძლება გლეხობა სასურველად დაუახლოვდეს წითელ ჯარს და იქონიოს მუშურ-გლეხურ შეიარაღებულ ძალაზე უტყუარი წარმოდგენა.

ყველა ზემოხსენებული საშუალებანი, რომელთაც მიზნად აქვთ წითელი ჯარი დაუახლოვოს გლეხურ მასსას არ უნდა იქნენ მიმართული წითელი ჯარის კაცის, როგორც სამწყობროს, აგრეთვე პოლიტ-განმანათლებელ საქმის სავნებლად.

შეფობა ისეთმა ნაწილმა უნდა იდვას თავზე, რომელიც თვითონ მომზადებულად სთვლის თავს, თორემ [illegible] შეუძლია დაახლოების ნაცვლად უფრო გაუგებრობა ჩამოაგდოს.

რაც შეეხება მინდვრის სამუშაოზე დახმარების აღმოჩენას, ამასაც ერთგვარი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ჩვენ ვიცით. რომ ჩვენ წითელ არმიელს მხარ-თეძოზედ წამოსაწოლად არ სცალია, მისი დრო მეტად სასტიკად არის განაწილებული. ქვრივ-ობლების დახმარება მეტად კეთილი და საპატიო საქმეა, თანაც საუკეთესო სააგიტაციო საშუალება, მაგრამ წითელ არმიელების სამეურნეო მუშაობას ვერ შემოვიღებთ სისტემებათ და კანონათ. ეს დასაშვებია შესაძლებლობის ფარგლებში, წითელი არმიელის ძირითადი ამოცანების უვნებლად.

პ. შუშან. ა.

ცალკე კავკასიის არმიის 5 წ. დღესასწაული

ამიერ-კავკასიის ცალკე არმიას.

კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს.

ვიზიარებთ რა სიხარულის გრძნობას ყველა წითელარმიელებთან, კომანდირებთან და პოლიტ-მუშაკებთან ერთად 11 არმიის, ეხლა კავკასიის ცალკე არმიის, დაარსებიდან ხუთი წლის შესრულების გამო, ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო მოგიძღვნით საუკეთესო სურვილებს არმიის მომავალი არსებობისათვის.

ც. ა. კ. და სახალხო კომისართა საბჭო ამ საზეიმო დღეს საჭიროდ სთვლიან აღნიშნონ კავკასიის ცალკე არმიის დამსახურებანი, რომელნიც სამუდამოთ არიან აღბეჭდილნი რევოლუციონურ ამიერ-კავკასიის ისტორიის ფურცლებზე.

ეკლიანი გზა, რომელზედაც მიდიოდა პროლეტარული რევოლუცია ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით მძიმე იყო ორი მიზეზის გამო:

პირველი—ამიერ-კავკასია იყო და დარჩა გაუმაძღარ კაპიტალისტების შეუწყვეტელ სურვილების საგანი და საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე იმპერიალისტების გარედან და შიგნიდან თავდასხმის საშიშროების წინ იყო დაყენებული; მეორე—წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, სისხლისმღვრელ შეტაკებების სახით იმ ხალხებს შორის, რომელნიც ამიერ-კავკასიაში მოსახლეობენ, ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ამ ორ მომენტს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების ცენტრად გახდენა არ ჩაუვლია არმიის გარეშე.

ერთგულ არმიებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, თავის დიდებულ წარსულზე დაყრდნობით, კავკასიის ცალკე არმიამ შესძლო თავშეყრილ კაპიტალისტების შემოსევის და მათ ადგილობრივ თეთრგვარდიელ მომხრეების ბრძოლის ენის შენელება და ამით შეაძლებელი გახდა საბჭოების დიად შენობის აგება მშვიდობიანობის პირობებში

ამასთანავე ის ერთი წუთითაც არ ანელებდა თავის სიფხიზლეს, ის საკუთარი მაგალითით, პროპაგანდით, პრაქტიკული მუშაობით ხელს გვიწყობდა ამ შენობის საერთო გუმბათის ქვეშ გაგვეერთიანებია ამიერ-კავკასიის ხალხები, რომელნიც აქამდის ერთმანეთის მტრობაში იყვნენ ჩაბმულნი.

გაუმარჯოს კავკასიის ცალკე არმიას!

გაუმარჯოს მის მებრძოლებს, კომანდირებს და კომისრებს!

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

საქართველო—კავკასიის ცალკე არმიას.

კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს.

კავკასიის ცალკე მამაც არმიის ხუთი წლის იუბილეს დღეს, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უგზავნის ყველა წითელარმიელებს, კომანდირებს და კომისრებს.

ღრმა პატივისცემით იგონებს რა კავკასიის ცალკე არმიის გმირულ ბრძოლის ისტორიას, საქართველოს ც. ა. კ. და სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია არ შეჩერდეს მის უკანასკნელ ფურცლებზე, რომელიც განსაკუთრებით ახსოვს საქართველოს მშრომელთ.

ძლიერი დახმარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების საქმეში, თავის სიტყვით და მოქმედებით პროლეტარულ რევოლუციის დიდებულ მიზნების გავრცელება, თავის ბრძოლის გამოცდილების საქართველოს მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ნაწილებისათვის გადაცემა—ყველა ამან სახელი მოუხვეჭა არმიას მშრომელთა თვალში, ის შეიქნა მშრომელთა წარმოდგენაში, როგორც რევოლუციის საყვარელი შვილი, მათ ინტერესებისა და მშვიდობიან შრომის ჭეშმარიტი დამცველი.

ორმა წელმა, რომლის განმავლობაშიაც იმყოფება აქ კავკასიის ცალკე არმია, აშკარად დაარწმუნა ყველა მშრომელები, ყველაზე უფრო ურწმუნოებიც კი, იმაში, რომ ძველი რუსეთი, რომელიც თავის სალდათურ-ჩინოვნიკურ ჩექმით სთელავდა ამიერ-კავკასიის ხალხების, პირქვე დამხობილია, რომ ოქტომბრის მზის სხივების ქვეშ აღმოცენდა ახალი, საბჭოთა რუსეთი—ყველა დაჩაგრულების იმედი. აი, რატომ არის, რომ ამ სადღესასწაულო დღეს მუშისა და გლეხის გული წითელარმიელის გულთან ერთად სძგერს.

აი, რატომ არის, რომ მშრომელები ერთიანი მკერდით შესძახებენ:

გაუმარჯოს კავკასიის ცალკე არმიას!

დეე დარჩეს ხსოვნა მისი გმირობისა და რევოლუციისათვის გაღებულ მსხვერპლის შესახებ!

**საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.**

**საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.**

ზეიმის დღე.

14 აგვისტო. ტფილისის პროლეტარიატმა და საქართველოს წითელმა ეროვნულმა ლაშქარმა ცალკე არმიასთან ერთად დიდი ზეიმით იდღესასწაულა ეს ღირშესანიშნავი ისტორიული დღე.

თავისუფლების მოედანი გაჭედილია ქართული წითელი ლაშქარით, კავ. არმიის სხვადასხვა ნაწილებით, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით და გარეშე მაყურებლებით.

ალლუმის მიღება.

ალლუმს იღებს კავ. ცალკე არმიის მთავარ-სარდალი ამხ. ეგოროვი წითელ კომანდირთა შემადგენლობასთან ერთად.

იგივე ამხ. ეგოროვი სალამს უძღვნის საბჭოთა რესპუბლიკების სახელით და უკითხავს სამხედრო-სარევოლუციო საბჭოსგან გამოგზავნილ დეპეშას.

ვაშა, ურა და ინტერნაციონალის გუგუნი ჰფარავს დეპეშის უკანასკნელ სიტყვას.

ეგოროვის სიტყვა

დეპეშის წაკითხვის შემდეგ. ამხ. ეგოროვი მოკლეთ ახასიათებს სახელოვან წარსულს კავ. ცალკე არმიის, სამხედრო საბჭოს სახელით, აღთქმას სდებს შექმნას მთელ ამ.-კავკასიაში მტკიცე და ურყევი ეროვნული ლაშქრები, რომელთაც უნდა იკისრონ მეთერთმეტე არმიის ბრწყინვალე ტრადიციების დაცვა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერთა საკეთილდღეოთ.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს აღმასკომის და საქ. კომ-პარტიის სახელით არმიას სალამს უძღვნის ამხ. მიხა ცხაკაია. მან აღნიშნა მეთერთმეტე არმიის დიდი დამსახურება კავკასიის ხალხების წინაშე და უსურვა მომავალში განმტკიცება და ძლევამოსილი წინსვლა მთელი აღმოსავლეთის და მთელი მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

ქაცარავას სიტყვა.

ტფილისის აღმასკომის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ქაცარავა, რომელიც იგონებს საქართველოს ახლო წარსულს, როცა რევოლუციის დაუძინებელი მტრები ყოველდ უსაფუძვლო და უმზგავსო ჭორს ავრცელებდენ სახელოვან მეთერთმეტე არმიის შესახებ, მაგრამ საქართველოს მშრომელთა მიერ ლაშქართან დაახლოვებამ და მისი წარსულის გაცნობამ ეს ზღაპრები გაფანტა და დღეს მოწმენი ვართ საყოველთაო ზეიმის, რომელშიაც მონაწილეობენ საქ. მშრომელთა ყველა წრეები და მოქალაქენი.

პროფ-კავშირების, რკინისგზელთა, ბალტიის ფლოტის და კომკავშირთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ხდება კავკასიის ცალკე არმიისადმი დროშის გადაცემა.

დროშის გადაცემა.

ესტრადაზე წითელი დროშით ხელში დგას ამხ. რუბენი, მის პირდაპირ დგება ქართული ლაშქრის წარმომადგენელი ამხ. თენგიზ ჟღენტი. ამხ. რუბენს დავალებული აქვს გადასცეს დროშა კ. ც. ცალკე არმიას საქ. კომ. პარტიის, ტფილისის აღმასკომის და საქ. პროფ. კავშირთა სახელით.

ამხ. რუბენის სიტყვა.

ვიდრე დროშას გადასცემდეს, ამხ. რუბენი მოკლე სხარტულ სიტყვაში აღნიშნავს, რომ მტრები საბჭოთა წყობილებისა ამტკიცებდენ, რომ კავკასიის ცალკე არმიის დროშა არის არა წითელი, არამედ იმპერიალისტური, მაგრამ სიყალბე ამ დებულების ყველასათვის ცხადი შეიქნა და დღეს ყველა დარწმუნდა, რომ კავ. ცალკე არმია ღირსეულად ატარებს სამართლიანობას და ძმობა—ერთობის ემბლემას—წითელ ბაირაღს. ამ სიტყვებთან ერთად იგი გადასცემს ამხ. ჟღენტს დროშას და გამოსთქვამს იმედს, რომ კავ. ცალკე არმია მალე სხვა ქვეყნებშიაც ააფრიალებს ამ წითელ დროშას:

ამხ. ჟღენტის სიტყვა.

იბარებს რა დროშას, ამხ. ჟღენტი წითელი ლაშქრის სახელით თქმას იძლევა, რომ წითელი [illegible] ეცდება ღირსეულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა რევოლუციონური ლაშქრისა.

ამ სიტყვის შემდეგ ამხ. ჟღენტი დროშას გადასცემს ჯარის ნაწილების წარმომადგენლებს, რომელთაც ინტერნაციონალის [illegible] ქვეშ ყოველი რაზმის წინ გაა[illegible] გამოძღვნილი დროშა.

ფიცის მიღება ქართველ ახალ ლაშქრეთა მიერ.

ამ ისტორიულ დღეს მოხდა წინად გაწვეულ ჯარისკაცთა მიერ ფიცის მიღება. ფიცის მიღებამდე ამხ. ეგოროვი მიმართავს მათ შესაფერი სიტყვით. შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია აძლევს დარიგებას ახალგაზრდა მოლაშქრეებს და უკითხავს ჯარისკაცთა ფიცის ტექსტს, რომლის თვითეულ წინადადებას ჯარისკაცთა გუნდები ერთხმად იმეორებენ.

ფიცის მიღების დასასრულს ლაშქარი ცერემონიალური მარშით თავის ბინებისკენ მიემართება.

ასე დასრულდა ამ დიადი დღის იშვიათი დღესასწაული.

საზეიმო კრება.

კვირას 12 აგვისტოს დღის 3 საათზე წითელ არმიელების ცენტრალურ კლუბში შესდგა ქალაქ თბილისში მყოფ წითელ არმიელების ნაწილის საერთო საზეიმო კრება ცალკე კავკასიის წითელ არმიის 5 წლის არსებობის თავის აღსანიშნავად.

კრებას დაესწრო ყველა ნაწილების წითელ არმიელები. ბიურო-კოლექტივის სახელით კრება გახსნა ბიურო-კოლექტივის პასუხის მგებელმა მდივანმა ამხ. ხიხაძემ. მოხსენება გაკეთა ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების უფროსმა ამხ. თენგიზ ჟღენტმა, რომელსაც წითელ არმიელებმა ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეხვდენ.

მომხსენებელმა ვრცლად შეეხო რუსეთის წითელ-არმიის არსებობას და აგრეთვე ხაზი გაუსვა ცალკე კავკასიის წითელ-არმიის 5 წლის გმირულ ბრძოლას სხვა და სხვა ჯურის კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ.

მომხსენებელმა ნათლად დაახასიათა, თუ რა როლი ითამაშა კერძოდ ცალკე კავკასიის არმიამ ამიერ-კავკასიის დაჩაგრულ ერების განთავისუფლების საქმეში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კრების მიერ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ქალაქ ტფილისში მდგომ წითელ არმიელების“ უფროს შემადგენლობამ, პოლიტ-შემადგენლობამ და წითელ მოლაშქრეებმა, მოწვეულმა საზეიმო კრებაზე ცალკე კავკასიის არმიის 5 წლის არსებობის სადღესასწაულო თავის აღსანიშნავად, მოვისმინეთ რა ვრცელი მოხსენება ამხ. თენგიზ ჟღენტის, პროლეტარული სოლიდარობით და წრფელი აღტაცებით ვეგებებით ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. მძიმე და ეკლიანი გზა განვლო რუსეთის წითელმა ლაშქარმა და კერძოდ კი მისმა საუკეთესო ნაწილმა ცალკე კავკასიის ძლევა მოსილმა წითელმა ლაშქარმა, დიდი ხნის სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულმა, მშიერმა და მწყურვალმა გადიტანა ყოველი გაჭირვება და ურიცხვ მტერზე გამარჯვებულმა მედგრად აფრიალა საბჭოთა ფედერაციაში წითელი დროშა. კერძოდ კი ცალკე კავკასიის სახელოვანმა წითელმა ლაშქარმა ითამაშა განმანათლებელი როლი ამიერ-კავკასიის დამონავებულ ერების ცხოვრებაში და თავის უანგარო ბრძოლით გაანთავისუფლა ეს ერები ბურჟუაზიის და მისი ლაქია მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატის სოციალ-გამყიდველების ბრჭყალებისაგან.

ერთხელ კიდევ მივესალმებით ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და ვსდებთ ფიცს, რომ საქართველოს ნორჩი წითელი ლაშქარი გამსჭვალული იმ სოციალისტური შეგნებით, რომლის მეოხებით იმარჯვებდა სახელოვანი რუსეთის წითელი ლაშქარი, ჩვენც მათთან ერთად წრფელად და თავ-განწირულად ვემსახურებით მსოფლიო პროლეტარიატის იდეალებს და რუსეთის ძლევამოსილ წითელ-ლაშქართან ერთად ვიბრძოლებთ მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის მეთაურობით კომუნიზმის განსახორციელებლად.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს რუსეთის ძლევა-მოსილ წითელ ლაშქარს და მის საუკეთესო ნაწილს ცალკე კავკასიის სახელოვან წ. არმიას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას.

ა. მიწიშვილი.

ცენტრალურ კლუბში.

ცივა, წვიმს, ცა შავი ღრუბლებით არის მოცული, შემოდგომის დღეა ნამდვილი.

კლუბში მუშაობაა გაჩაღებული, სათეატრო დარბაზს რთავენ პლაკატებით, აკრავენ კედლებზე ლოზუნგებს.

მუშაობს ბიბლიოთეკაც, აწყობს წიგნების გამოფენას, ამზადებს მასალას შუქის გაზეთისათვის.

აი შესრულდა შვიდი საათი, ყველაფერი მზად არის.

იწყეს დენა წითელ-არმიელებმა, ჯერ კინო.

მხიარული სურათია, ისმის ხმამაღალი სიცილი განუწყვეტელი.

გათავდა სურათი.

ყველანი მიეშურებიან თეატრისაკენ.

დაიწყო პოლიტ-ლატარია.

„ვინ არის ამხ. ეგოროვი“? მკვირცხლი პასუხი „ამხ. ეგ[illegible] არის მთავარ-სარდალი კავ. ც[illegible] არმიის“. „ყოჩაღ ბიჭო“ ეუბნება ამხანაგები დასაჩუქრებულ წითელ არმიელს.

მსურველი ბევრია, ყველას უნდა გამოიჩინოს თავისი ცოდნა, გამოცდილება, აი მხოლოდ უმცროს მეთაურთა სკოლა მოიკოჭლებს, ეძნელებათ პასუხის გაცემა უბრალო კითხვებზედაც.

ამას კი უნდა მიექცეს ყ[illegible]დღება.

გათავდა ლატარია.

დაისვენეს ცოტა. ეხლა კი წა[illegible]მოდგენა.

დაიდგა აგიტ-პიესა 1 მოქ. „[illegible]ლო წარსულიდან“, რომელშიაც მოხატულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყოფილ მთავრობების უ[illegible]ნასკნელი წუთები და მათი გაძევ[illegible] წ. არმიის მიერ.

უკვე მე-12 საათი იყო დაწყებული, როდესაც გათავდა სალამო.

წვიმას გადაეღო, ცა მოფენილი იყო ვარსკვლავებით მწყობრი სიმღერით გაეშურნენ არმიელნი ყაზარმებში.

ე. ხ—ლი.

წით. ახალი ამბები

შაქარი ტფილისისათვის.

მიღებულია ბაქოდან ტფილისისათვის 8.000 ფუთი შაქარი, რომელიც გაიყიდება მცხოვრებლებზე მთლიანი მუშათა კოოპერატივის საშვალებით.

ტყის ექსპლოატაციისათვის.

ტყის წესიერი ექსპლოატაციის მიზნით ტყეთა აღწერა და გამორკვევა აწყურის მაზრაში დამთავრდა. ამ ჟამად აღწერა სწარმოებს—ჭიათურის ბელიკლუჩის, სიღნაღის და ტფილისის მაზრაში. ამ დღეებში დაიწყება მუშაობა აღწერისათვის მაზრებში.

ეგ. ნინოშვილის ძეგლი ჩაქვში.

ჩაქვის სახალხო მამულების მართველობამ მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს შეუკვეთა ე. ნინოშვილის ძეგლის გაკეთება, ძეგლი დაიდგმება ჩაქვში.

[illegible]ლიტგანმანათლებელი მუშაობის შემოწმება.

[illegible]სამე ქართულ ლეგიონში და [illegible] ასეულში დამთავრდა პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობის შემოწმება. მუშაობა აღნიშნულ ნაწილებში დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე დგას.

ცეცხლის მქრობელი რაზმისათვის დროშის გადაცემა.

15 აგვისტოს თავისუფლების მოედანზე შესდგა ტფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის პარადი, რაზმს სიტყვით მიმართა ქალ. აღმასკომის წარმომადგენელმა და გადასცა დროშა.

[illegible]ჰაერო ფლოტისათვის.

მეოთხე სტამბის მუშებმა წითელ საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ დაადგინეს გადასდონ დღე-ნახევრის ხელფასი.

საჩუქარი წითელ კავალერს.

ქალ. აღმასკომმა დაადგინა კ. ცალკე არმიის დღესასწაულის აღსანიშნავად შეძენილ საჩუქრების გარდა, შეიძინოს ქამარ-ხანჯალი წითელი კავალერის ამხ. ალ. გეგეჭკორისათვის გადასაცემათ აღმასკომისაგან სამახსოვრათ.

ქართული ენის კურსები.

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა გახსნა ქართული ენის კურსები თავისი წევრებისათვის, რომელნიც სცხოვრობენ მტკვრის მარჯვენა ნაპირას. კურსებისათვის შენობა დაუთმო შრომის სახ. კომისარიატმა.

ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.

განზრახულია ტფილისის მაზრის რაიონებად ახლად დაყოფა, რომელიც მრავალ თემების მაგიერ დაიყოფა 4 რაიონად: გარე-კახეთის, ასურეთ-ალბულახის, მანგლისის და წავკისის. განზრახულია დაარსდეს მეხუთე ქალაქის განაპირა რაიონი.

სახელმწიფო დრამის დასი.

სახელმწიფო დრამის დასი, რომელიც ამჟამად იმყოფება ბორჯომში ამზადებს გ. კაიზერის პიესას „გაზ“. პიესა მომავალ სეზონში დაიდგმება რუსთაველის თეატრში.

ენგელსის და წულუკიძის ახალი ძეგლები.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს შეუკვეთა ენგელსის და წულუკიძის ძეგლების გაკეთება. პირველი ძეგლი დაიდგმება ქუთაისში, ხოლო წულუკიძის—ხონში.

[illegible]ამხედრო საქმე

მცირე ომი ფრანგ-პრუსიის ომის დროს.

ევროპის ტერიტორიაზედ მცირე ომი დამოუკიდებლად იშვიათად გაუწარმოებიათ. წარსულში მცირე ომი უწარმოებიათ დროს მოსაგებათ ახალ ჯარის შესადგენათ, საკუთარ მოძრაობის და ადგილის გამოცვლის დასაფარავად, ან კიდევ როდესაც ჰსურდათ ომის იმდენი ხნით გაჭიანურება, სანამ ომში სხვა სახელმწიფო ჩაერეოდა.

[illegible]არა ევროპიულ, ცუდათ შეიარაღებულ, გაუწვრთნელ არმიისათვის მცირე ომი წარმოადგენს ბრძოლის საუკეთესო საშუალებას კარგად შეიარაღებულ, გაწვრთნილ და დისციპლინიან ევროპიელ ჯარის წინააღმდეგ. 1842 წელს საუკეთესოთ შეიარაღებული ინგლისის ჯარი [illegible]ბული იყო დაცხია კაბულიშნოდა. ცუდათ შეიარაღებულმა და [illegible] ავღანელთა ბანდებმა მცირე ომით მოსპეს კიბერის გასაყოფში მთელი ინგლისის არმია. ევროპიელ ჯარს ტრიალ მინდორში ამ ხალხს არ შეუძლია გაუმკლავდეს, მხოლოდ მცირე ომში მუდამ სჯობნიან თავიანთ განსაკუთრებული ბუნებრივი თვისებებით, რაც მათში სიყრმიდან გავითარებულია ნადირობით და განუწყვეტელი ომებით; ეს მხედარნი მეტად მოძრავნი არიან, განსაცვიფრებლად გაბედულნი, ვერაგნი და ცბიერნი. ამ გვარ თვისებას მოკლებულნი არიან მშვიდობიან დროს აღზრდილი ევროპიელი ჯარისკაცნი.

ფრანგ-პრუსიის ომის დროს მცირე ომი ოთხ სხვა და სხვა ალაგას სწარმოებდა: 1) ომის დასაწყისში, ივლისში და აგვისტოს პირველ რიცხვებში საზღვრებთან, 2) ომის ასპარეზის ახლო მდებარე ოლქებში, ციხე სტრასბურგის დაცემის და დიჟონის გაწმენდის შემდეგ, 1871 წ. დეკემბერში, 3) იმპერიის დამხობის შემდეგ, ახლად შემდგარ ჯარის ფრონტის წინ, რაც სწარმოებდა გერმანელ ჯარის შესაჩერებლად, სანამ ახლად შედგენილი ჯარი მოეწყობოდა და ამის დასაფარავად და 4) ომი გერმანელების სურსათ სანოვაგის და საომარ მასალის მოწოდების გზების ხაზებზედ.

ფრანგებმა, დროს სიმცირის გამო, ვერ შესძლეს მცირე ომით შეეკავებიათ ძლევამოსილი გერმანეთის არმია. თუ რამდენათ სცდილობდა საფრანგეთის მთავრობა გავლენა ექონია ხალხის სულიერ განწყობილებაზედ და მის გამხნევებისათვის, დამახასიათებელია კოტდ-ლუე ვილარის დეპარტამენტის პრეზიდენტის ხალხისადმი მოწოდება, სადაც იგი მოუწოდებდა მთელ მოსახლეობას, წამომდგარიყვნენ ფეხზედ და წინააღმდეგობა გაეწიათ მტრისათვის. ეს გამოაქვეყნა მან გაზეთში 21 ნოემბერს 1870 წელს. სამ სამი, ოთხ ოთხი გაბედული ვაჟკაცი უნდა ყოველდღე გამოსულიყო დილით, ამოეფარებოდა მოხერხებულ ალაგს და აეტეხათ სროლა გერმანელ ჯარის კაცებთან, უმთავრესათ ცხენოსან მხედრებთან. ამ გვარ ვაჟკაცობისათვის და მთავარ ქალაქში ცხენების წარდგენისათვის დაპირებული იყო ჯილდო და მთავრობის გაზეთში მათი სახელების გამოქვეყნება.

როდესაც დიჟონში გერმანელებმა გააძლიერეს თავიანთი გარნიზონი, იქ დასჭირდა ტელეგრაფის ხაზის გაყვანა. თავდაპირველად ტელეგრაფის ტელეგრაფის კავშირი განუწყვეტლივ ირღვეოდა, მხოლოდ შემდეგ მკაცრი სასჯელის დადებით და ზომებით მოსახლეობა იმდენად დააშინეს, რომ თითონ ხალხი იცავდა ტელეგრაფის ხაზის მთლიანობას, გამოცხადებული იყო, რომ ყველა ის სოფელი, რომელიც მიიღებდა თავისთან თავისუფალ მსროლელთა ბანდებს—დაუნდობლივ განადგურებული და დანგრეული იქნებოდენ არტილერიით, და ყველა იმ სახლიდამ, საიდანაც თოფი გავარდებოდა, ის სახლი უნდა დამწვარიყო. ტრიალ მინდორში შეხვედრილი შეიარაღებული ადგილობრივი მცხოვრებნი დახვრეტილნი იქნებიანო.

გერმანელები იძულებული იყვნენ ასეთი ზომები მიეღოთ იმიტომ რომ ხშირი იყო მოვლენა, როცა გერმანელების მიმავალ მცირე რაზმებს თავს ესხმოდენ მოხეტიალე ბანდები.

მოძრაობის დროს ცხენოსანი ჯარი მდევრობას აწარმოებდა 6—7 კილომეტრით წინ; ბინაზედ მოთავსებული ჯარი უზრუნველ ყოფილ იყვენ მთავარ გზებზედ წინ გაგზავნილი გარე ყარაულებით. თვით სოფელში, მის გარეთ გასავალ გზის პირას, თავსდებოდა მორიგე ნაწილი და ქუჩებში გუშაგები იდგენ განგაშის შემთხვევისათვის.

გ. ბ.

მეცნიერება და ტექნიკა

მსოფლიო განვითარება საავტომობილო საქმისა.

(ტრაქტორი, ჰაეროპლანი, ავტომობილი).

შინაგანი წვის მამოძრავებელის ხმარებამ სამრეწველო ცხოვრების სხვა და სხვა დარგებში, უკანასკნელ დროს კოლოსსალური განვითარება მიიღო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში.

უმთავრესი დარგები ხმარებისა არის: სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია (მამოძრავებლები, წვრილ ძალთა მოტორები, წისქვილები, მლეწავები და სხვა), ავიაცია (კომერციული და სამხედრო), ავტოტრანსპორტი, მსხვილი სტაციონარული მოტორები (სითბოს, ძალის სადგურები და სხვა) და ბოლოს ხმარება წყლისა და რკინის გზის ტრანსპორტის საქმეში.

მამოძრავებელი უმთავრესად ამერიკაში განვითარდა, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ვუწოდოთ მისი სამშობლო, სადაც ის იხმარება როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე ტრანსპორტში და სპეციალურ ტეხნიკურ მიზნებისათვის (სამხედრო ამოცანები, სატყეო საქმე, გაყვანა შარა გზებისა და მელიორაცია).

მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ დასავლეთ ევროპამ გააძლიერა მისი ხმარება მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში. და დღეს მამოძრავებელმა დაიკავა თვალსაჩინო ალაგი, როგორც დასავლეთ ევროპის სასოფლო მეურნეობაში, აგრეთვე სამრეწველო ცხოვრების სხვა და სხვა დარგებში.

მარტო ამერიკაში ამ ჟამად ყოველწლიურად გამოდის 500.000 ცალი მამოძრავებელი; საშვალოთ ღონით, რომელიც უდრის 25 ცხენის ძალას, ე. ი. სულ 12.500.000 ცხენის ძალას აღემატება. ამასთან ტიპების რიცხვმა 1922 წელში ავიდა 144 დე.—მიუხედავად საქმის ასეთი მაშტაბისა, არ შეგვიძლია [illegible] დასკვნა გამოვიტანოთ, თითქო რომ—ტრაქტორთა-აღმშენებლობამ უკვე ამოსწურა ძიების სფერო.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც მეურნეობის განვითარებამ ფართე ხასიათი მიიღო, დიდი, მძიმე მამოძრავებლები თან და თან განიდევნა ხმარებიდან, და მივიდნენ დღევანდელ დასავლეთ ევროპის მამოძრავებელის ტიპამდე.

მოქმედებითი სისწრაფე, ანუ სისწრაფე მოხვნისა საშვალოდ აღწევს საათში 4 კილომეტრამდე. ცდები ამ სისწრაფის ექვს კილომეტრამდე აწევისა საათში, დღესაც სწარმოებს, და ყოველ შემთხვევაში, ავტო-გუთნებშიც სცდილობენ მეცნიერულ საფუძვლების ჩაყრას.

სამხედრო ცხოვრებაში მამოძრავებელის ხმარებამ მსოფლიო ომის პირველ წლებში წამოაყენა საკითხი სპეციალურ საომარ მანქანების შექმნისა, რომლებთა დიდი რიცხვიც გამოჩნდა ბრძოლის ველებზე 1916 წლის ბოლოს ტანკების სახელით. მძიმე მანქანები, რომელთა სიმძიმე აღწევდა 2,5 ათას ფუთს (რომლებიც გამოგონებული იყო ინგლისის მიერ) საფრანგეთში ჩქარა შეცვლილ იქნა პატარა ტანკებით, **რენოს ფირმისა**, რომელშიც თავსდებოდა ორი კაცი და წონა უდრიდა 400—500 ფუთს; ბრძოლის ტაქტიკამ დაგვანახა, რომ ეს ახალი სამხედრო იარაღი შეიძლებოდა დიდის წარმატებით მოხმარებულიყო ევროპის ფრონტზე, მხოლოდ დიდი სამხედრო ერთეულების შეტევაზე გადასვლის დროს. ამ რიგა[illegible] ომის ერთ უკანასკნელ ბრძოლაში, როდესაც ტანკებს წილად ხვდათ ბრძოლის გადამწყვეტი როლი, ისინი მონაწილეობდენ ფრონტზე 3—4 ვერსიან მანძილზე სულ 400 ცალამდე.

ტფილისი 14 აგვისტოს.

(ერთის თვალის გადავლებით).

დილაა...

ქალაქი ყაყაჩოთა კონძილს მოგვაგონებთ ალმოდებულ ბაირაღებში.

ცის კაბადონს ღრუბელი ჰფარავს, რომლის პირბადობასაც ჰხევს ხანდისხან მზე ცხოველ სხივით და ღიმილით გადმოსცქერის აბიბინებულ ქალაქს.

გრილა. ცა საჟინჟღლავად ატეხილა.

დღეს სამხედრო უქმეა—ცალკე კავკასიის არმიის ხუთი წლის თავი...

სამოქალაქო დაწესებულებები მუშაობენ და ამიტომაც არა სჩანან მუშები.

ქალაქის ყოველ კუთხიდან მოდიან მუსიკით ჯარები თავისუფლების მოედნისაკენ; „ინტერნაციონალის“ ჰანგები მიიქროლებენ სადღაც ჩაფიქრებულს, სიცივისგან ლოყა გაცრეცილ ქალაქს...

სიმღერა გუგუნებს...

ალლუმია...

აქაა, როგორც ოკასი, ისე ქართული დივიზიის ნაწილებიც.

მილოცვები—მილოცვებს სცვლის.

წითელი დროშის ტყეები ნელა ირხევიან ქარის შემოქროლვაზე. ნაზი სიამეა.

გმირებს ლამაზად უჭირავთ თავი. ყველანი იხიბლებიან მათი მზერით; ყველას უნდა, რომ დიდხანს გაგრძელდეს ეს ზეიმი...

მიდიან ქვეითა ჯარები, მისდევს კავალერია და არტილერია.

ინტერნაციონალის შტანდარტი ამაყად ფრიალებს.

ოკას ხუთი წლის ეკლიანი და ცეცხლით გადატრუსული გზა ახლა დაფნითა მწვანდება.

წითელ გმირების სიცოცხლით აღსავსე გამომეტყველება თითქოს ამბობს:

„მტრებს არ ვეგონოთ ლაჩრები—
მიამიტები;
ჩვენ ძველ მსოფლიოს ავაფეთქებთ
დინამიტებით“!...

საღამო.

წვიმა... შემდეგ ქარით შეწყვეტილი.

ცხელი თბილისისთვის უჩვეულო ყინვაა.

ამ საღამოს ქარი მოგვაგონებთ გვიანი შემოდგომის მრისხანე კბენას; თბილისის გამოცნობა ძნელია დღეს.

სასახლე—შეკეთების გამო—არაა ჩვეულებრივ გაჩირაღდნებული. რუსთაველის თეატრის შესავლის ბანზე მუსიკა ჭირვეულობს ტრამვაის და ავტომობილთა გუგუნში.

ოკას შტაბის შენობა ტროცკისა და სხვა წითელი ლაშქრის ბელადებითაა მორთული.

მტკვრის მარცხენა მხარეს, კლუბებში წარმოდგენებია უფასო—წითელ ლაშქრელებისათვის.

მშვენივრად მორთულია რატუშა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობა.

თავისუფლების მოედანზე, ქარვასლის პირდაპირ, მარჯვნივ სასახლის ქუჩით, ერთი სახლის დერეფნიდან შუშხუნები ფეთქდებიან და ბნელ ჰაერს ანათებენ მრავალფეროვან, ვარსკვლავისებურ ნაპერწკლებით.

მოქალაქენი და მუშები—დღის ზეიმს მოკლებულნი—არ შეუშინებია სიცივეს, ქინქლიან დარს და სუსხიან ქარს—საყურებლად გამოსულან.

საქართველოს წითელი ლაშქრის ცენტრალური კლუბი „ელექტრონ“-ში ლივლივებს.

ამა ღამ წითელ არმიელთათვის მიდის წარმოდგენა და პოლიტ-ლატარია. ელიან მათ მოსვლას და... შორს გაისმა მათი ზე აღმტაცი სიმღერა...

კლუბის წინ ჩამწკრივდა რკინის რიგები.

სახე ნათელი წითელი არმიელები შედიან კლუბში.

ბაღში ცივა. ყოფილ საზღვაო სკოლის მუსიკის ხმაურში ისმის კინოდან ნორჩი თაობის ჟრიამული; „ბრავო, ტარზან!“ ტაშის ქუხილი აყრუებს როიალს.

პოლიტ-ლატარია იწყება. ყველა წითელ არმიელი—ზოგიერთის გამოკლებით—თამამად აძლევენ კითხვებზე პასუხს...

საჩუქრები ურიგდებათ.

დასასრულ იდგმება პიესა—„ახლო წარსულიდან“.

წითელი არმიელნი კმაყოფილნი იშლებიან, მიემართებიან ყაზარმებისაკენ სიმღერით.

—ან.

ნ. დ. ს ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი— ლ. ჩანტლაძე.